

572  
1977

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ  
ՆՈՒՆԻՄԱՆՈՒԹՅՈՒՆ



1977 ՅԱՐՍՆ Մ 3  
ՀԱՅԿ

# გაზაფხულის ნაკომოვანა

გივი შინგიდაძე

— რად ტრიალებთ სცენაზე  
ენმელაჲ და ბერცხალო?

— ბველი დეკორაცია  
ახლით უნდა შევცვალოთ.

— აქ მზე უნდა დავკიდოთ...

— აქ კი—მწვანე ტოტი.

— აქ გავფინოთ ხალიჩა,  
სედ რომ წუარო მოსტის.

— უჯვდილებით მოვკანსმავთ  
წუაროს ზირს და ბექობს.

— მერე ბავშვებს მოვუხმობთ,  
სახეიძო სჭკქონ...

— უკვე მოვრჩით ყველაფერს,  
გახსულია ზამთარი.

გახსულა კამობრძანდი,  
შენთვის სცენა მზად არის!



# დავის ბარნიკაბა

მორის ფოსხიშვილი

შვილები თუ ძღერინან,  
დედა ბედნიერია.  
თუ ფერსულსაც უვლიან,  
დედა მსიარულია.

თუ კარგადაც სწავლობენ  
და კარგადაც შრომობენ,  
რომ სამშობლოს ერთგულად  
ემსახურონ ბოლომდე,

მაშინ დედის კეთილ გულს  
დარდიც ვეღარ ერევა,—  
ჩვენი კარგად უოფნაა  
დედის ბედნიერება!



ნახატები ზაურ ღვინაძისა

ქ. შარვაშიძის ქ. საგ. სსრ  
საბავშვო ჟურნალი  
ბიზნეს-ცენტრი

13421



# რუსეთის ხალხი საბჭოთა

რუსეთის სფსრ

## ბავშვიბო!

60 წლის წინ მუშებმა და გლეხებმა, ლენინის ხელმძღვანელობით, ტახტიდან ჩამოაგდეს მეფე და ძალაუფლება თვითონ აიღეს ხელში.

თქვენ ამ ახალ თავისუფალ ქვეყანაში დაიბადეთ და ბედნიერი ხართ!

და აი, გამარჯვებული ქვეყანა წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წელს იზივებს.

ამ სამოც წელიწადში თქვენმა მამებმა და პაპებმა—მთელმა საბჭოთა ხალხმა არნახულ წარმატებას მიაღწია: აშენდა ქალაქები, გზები, ფაბრიკა-ქარხნები და სკოლები, დაიწერა წიგნები...

ამ დიდ თარიღთან დაკავშირებით თქვენთვის უურნალის მესამე ნომრიდან სისტემატურად გამოქვეყნდება მოძვე რესპუბლიკების სახავშო მწერალთა ნაწარმოებები რუბრიკით—„ვრცელთა ჩემი სამშობლო“! უურნალის ამ ნომერში კი გავცნობთ რუსულ სახავშო ლიტერატურას

# ლილეა

სარგანი ბარუზინი

თარგმანი ენდი ჟარეთელაძე

ეს მოხდა ოცი წლის წინ, ფაშისხეზე გამარჯვების დღეს.

მიდიოდა ქუჩაში ჯარისკაცი, დაღლილი და კმაყოფილი. რამდენი წელი უტხოვრია ქვეყნად, რამდენ ბრძოლაში გამოუვლია, მაგრამ პირველი მისი თავის ცხოვრებაში ბერლინში არ უზვიმია. პირველი მისი ბერლინში! ფაშისტები დამარცხდნენ, გამარჯვებული ჯარისკაცი კი ფაშისხისაგან თავისუფალ ბერლინში დააბიჯებს.

— დიდება საბჭოთა ჯარისკაცს! — გაიძახიან გერმანელები. როცა ჯარისკაცი შორეული ქალაქიდან სამშობლოში დაბრუნდა, მას ძველი დაუდგეს: მხარზე—გოგონათი, ხელში—მახვილით, ხალხს რომ მარად ხსომებოდა, ვინ იხსნა მათი მიწა ფაშისტებისაგან.

სად არ ნახავთ ჩვენი ჯარისკაცის ძველს: გერმანიაში თუ პოლონეთში, უნგრეთში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში...

ყველგან, სადაც კი მიდიოდა, იბრძოდა და ამარცხებდა ჩვენი ჯარისკაცი.

მიღის ჯარისკაცი ქუჩაში, თავის სამშობლოში დაბრუნებული, მიაბიჯებს მოსკოვის ქუჩებში, წითელ მოედანზე, ლენინის მავზოლეუმთან ძელურა ფენილზე ყრის იგი მრისხანე ბრძოლებიდან ალაფად წამოღებულ ფაშისტურ დროშებს.

— დიდება შენ, ჩვენებურო! — გაიძახიან მოსკოველები.

ხელში ატაცებულ ჯარისკაცს მალლა ისერის ხალხი.

— დიდება! დიდება! დიდება!



# პრეპია და ღიბა

## აზნია ბარბო

გადილო ფოტოწერემ

გაბაფხულის დღე:

თოვლი, როცა დნება წვეთ-წვეთ  
და ტირიფის ხე.

ფანჯარასთან ხეიბედგადახვეული

ორი ბიჭიც ჩასურათდა ხეიად.

სურათიდან გამოკრთოდა გაბაფხუელი,

ამას უცებ მიხვდებოდა ყველა.

და თქვა ჩემმა მეგობარმა დიშკამ:

— ასეთი რამ მომიფიქრდა ფიქრად;

მოდრი, აქვე—ახლომანდო

სასაცილო რამე ვნახოთ.

შეგთავაზებ დიშკას წაშში:

— არცის ხენი მდგარი წყალში

და თეთრ ორთქლში გახვეული ჭაბა—

სასაცილო არ იქნება, ვანა?—

მაგრამ დიშკამ მოამძახა:

— ეჭ, შენც ერთი, იტყვი, რალა!—

ირველიც წყალი საბანაო, წყალია და რა წყალი!

არხის პირას გავიარე, ვერაფერი მაშინებს,

უცებ არწი ორივ ფეხით მოვადინე ტყაპანი

და სიცილიც ხმამალადი შემომესმა მაშინვე.

— აი, მესმის სიუჟეტო!—დაიძახა დიშკამ,

— ვაშა, ვაშა!—თან ხარხარებს ისე, როგორც

ჭინკა.

წორწორით ჩამოდოდა კისრიდან წყალი,

ტლაპოში რეტდასხმული ვცურავდი,

ის კი ღრიადებდა:—კარგია, კარგი,

აი, ეს იქნებაო სურათი!—

მე აკანკალებული მორევში ვაგდივარ

და ვგრძნობ: ავაღ ვხდები სულაც,

მას კი უხარია:—შენ ნახავ, ნამდვილად

პრემიას მისცემენ სურათს...

ჩვენ როდიდან ვმეგობრობდით—

ალარც მახსოვს თითქმის,

მაგრამ, მჯერა, თქვენ გამიგებთ,—სოფელშიც

და ქალაქშიც;

გაგიგიათ, პრემიისთვის თუ რალაცა

ჯანდაბისთვის

მეგობარი ჩაახრჩო აშმორებულ ტლაბში?

თარგმნა ანზორ აბულაშვილმა

ნახატი ვახტანგ გულისაფხილისა





## სჯიღსუბის ნავები

### სარგვი ალქსევი

— რაზინი მოდის, რაზინი!  
— სტეფან ტიმოთეს ძე!  
1670 წელია. რუსეთის სახელმწიფოში მდგლვარებაა. დიდად შეშფოთებულები არიან ბოიარები და მეფის მსახურნი. გამო-

ნახატი ვახტანგ გულისაშვილისა

ფხიზლდა და აღსდგა ჩაგრული და დაბეჩავებული ხალხი, გლვხოზა: კახაკები, ბაშკირები, თათრები, მორდოველები, მრავალი ასი და მრავალი ათასი აღამიანი.

გლვხოზა ლაშქარს წინამძღოლობს მკვირ-





ცხლი ადამიანი, დონელი კაზაკი სტეფან ტი-  
მოთეს ძე რაზინი.

— დიდება, რაზინს დიდება! — გაისმოლა  
ყოველგან.

აჯანყებულნი ცარიცინს<sup>1)</sup> მიაღწენ, დაბა-  
ნაკდენ ქალაქის მახლობლად, ოდნავ ზე-  
მოთ — მდინარე ნევის ციკაბო ნაპირებზე.

— რალას ვჩერდებოდით ნეტავ, ავგელო  
ბარემ ცარიცინი! — შესჩიოდნენ ერთმანეთს  
კაზაკები.

სალამო ხანს, შებინდებულზე, რაზინს ქა-  
ლაქის მცხოვრებნი ეახლნენ:

— მოდი და იმეფე, შენი ჭირიმე შეგვეყ-  
რია, ცარიცინელები მოუთმენლად გგლიან,  
ცოტანი არიან სტრელცები<sup>2)</sup>, ვერაფერსაც  
ვერ გახდებიან; ოღონდ მოდი და, კარიბჭეს  
ჩვენ გაგიღებთო.

— აიღე, აიღე, ადამიანო, ცარიცინი,  
დროა! — აქეზებდნენ მრჩეველებიც.

რაზინი მაინც არ ჩქარობდა, რადგან იცო-  
და, რომ ვოლგა-მდინარეს ცარიცინისაკენ  
სტრელცების დიდი ჯარი მოჰყვებოდა ნავე-  
ბით. სტრელცებს ზარბაზნიც ბევრი ჰქონ-  
დათ და თოფებიც. თოფის წამალი ხომ თავ-  
ზე საყარი! სამხედრო საქმეშიც ფრიალ  
განსწავლულნი იყვნენ, ხოლო წინ ჩინებული  
მეთაური ლოპატინი მოუძლოდათ. „რანაი-  
რად დავამარცხოთ ასე მცირე ძალებით ამო-  
დენა ჯარი, — ფიქრობს რაზინი, — კაზაკურად  
რომ ვებღღღებოდეთ და ამოსუნთქვასაც არ  
დავაცილებთ, ეს იქნება საქმე“.

ამასობაში კი ლოპატინი სულ უფრო და  
უფრო უახლოვდებოდა ცარიცინს.

— აიღე, ატამან, ქალაქი, აიღე! — გაიძახო-  
დნენ კაზაკები.

არ ფაციფუცობს, ფეხს ითრევს ატამანი.  
ყოველდღე მზერავს აგზაენის ლოპატინი  
ქალაქისაკენ. მზერავებიც ატყობინებენ თა-  
ვიანთ უფროსს: კბოდეებზე დგანან და ქალა-  
ქისაკენ არც იხედებიანო.

— ყუყყები არიან და ბრიყვები, — დასცი-

ნის კაზაკებს ლოპატინი, — არც მეთაურად  
ჰყავთ გერგილიანი.

ამასობაში ლოპატინის ქარაენი კაზაკების  
კბოდეებსაც მიაღწა. დაინახეს კბოდეებზე  
შეფენილი კაზაკები და სროლაც აუტეხეს  
ნავებიდან.

«ესროლეთ, ესროლეთ, — იგესლება ლოპა-  
ტინი, — გამარჯვებაც მას დარჩება, ვინც მი-  
ზანში კარგად მოარტყამს!» თვითონ კი სა-  
ხიფათო ნაპირს ახლოს არ ეკარება. და აი,  
ცარიცინიც გამოჩნდა; გამოჩნდა კი არა,  
მიაღწენ კიდეც. ციხე-სიმაგრეიდან ზარბაზ-  
ნის სალუტი გაისმა.

კმაყოფილია ლოპატინი, სიამოვნებისაგან  
ხელებს ისრესს.

უეცრად კი... რა უბედურებაა ეს?! ცარი-  
ცინის გალავნის კედლებიდან თხლიშინ-  
თხლიშინით მოცვივა გოგრა ყუმბარები;  
ერთი, ორი, ათი... შიგ სამეფო ნავებში გა-  
აქვთ ბათქაუთქი. ქალაქის გემბივით  
იყანთრებიან ნავები და, მოგჭამათ ჭირი,  
იძირებიან ზედიზედ.

გალავნის ყველაზე მაღალ კედელზე ვილა-  
ცამ ატამანის ხიფთანში გამოწყობილი მხარ-  
ბეჭიანი კაზაკი შენიშნა.

— აუუ, რაზინია ქალაქში, რაზინი!

— მოიცათ, გამობრუნდით უკან! — განკარ-  
გულდება ვასცა ლოპატინმა, მაგრამ, ამ დროს  
ვოლგის მარცხენა და მარჯვენა ნაპირებიდან  
სტრელცების ქარაენისაკენ კაზაკების ნავები  
დაიძრნენ. როგორც ფუტკარი თაფლს, ისე  
დაესივნენ რაზინელები სტრელცების ნავებს.

— ჰკა მაგას, გააფთოზობინე სული!

— ძირში მიახიბე თავი მეთაურს.

დანებდნენ სტრელცები, იარაღი დაჰყარეს.

— ოო, დიდი ეშმაკისერთია ჩენნი ატამა-  
ნი, — აღტაცებას ვერ მალავდნენ გამარჯვების  
შემდეგ ამოხებულნი, — არ ვააცურა მეფის  
ჯარის მეთაური გემოზე! ხომ დაინახე, რა  
ქნა, — ბოლო წუთამდე არ ახლო ხელი ცა-  
რიცინს!

— მეთაურს ერთი თავი აქვს, რაზინს კი —  
ორი, — დიდხანს ხუმრობდნენ კაზაკები.

<sup>1)</sup> ახლა ქალაქი ვოლგოგრაძი.

<sup>2)</sup> მეფის ჯარისკაცი.

# მეჯიორი

სარგავი მიხალკოვი



როცა სოფელში ვცნოვრობდი,  
ვიცნობდი ბუბერას ხარს;  
მთელს იმ სოფელში ჩემს გარდა  
არ იკარებდა სხვას.

ჰო, დიას, სწორედ ასეა,  
დღესაც არ ვიცი რატომ,  
მას მე მოვწონდი მარტო.  
ბაღას-ბუღასი მიმქონდა  
(ხარს ხომ ბაღასი რეგებს),  
სმადაბლა შემომშეფლებდა,  
არ მიღწევებდა რეგებს!

რომ მივდიოდი ბუქობთან,  
გადაუძახებდი მეგობარს,  
ისიც მომცემდა ბანს:

— შესმისო... ერუ... ერუ, როდი ვარ,  
მო... მო... მო-ვდი-ვარ, მო-ვდი-ვარ!

ვეგებებოდი ხარს.  
მოაბიჯებდა ამაყად  
ცნოველთა მთავარსარდალი...  
მას აქეთ სუთი წელია,  
ახლა არ ვიცი სად არი...  
ვისთან მეგობრობს ნეტავი,  
რომ მეუფეწვრილი ასე?  
ხარს—მეტყვორი შევარქვი,  
მშობილს,—ჯან-ღონით სავსეს!

თარგმნა **კ. გოგიაშვილმა**

ნახატი **ელზარ აგოკაძისა**



# თაიგული

## იური კოვალი

ნახატები თაგავ სუსიფილისა

სახლში შევედი და ადგილზე გავშემდი. იატაკზე დაღვრილი რძე ტბასავით ლივლივებდა. მის გარშემო ჭიქების ნამტვრევები, ბოთლი და კოვზები ეყარა.

— აქ ვინმე არის?

ოთახში ყველაფერი თავდაყირა იყო: მხოლოდ ყვავილების თაიგული იდგა მაგიდაზე ხელუხლებელი და უვნებელი.

ამ არეულ-დარეულობაში თაიგული, ცოტა არ იყოს, თავხედურად გამოიყურებოდა—მომჩვენებდა, თითქოს ის იყო ყველაფერში დამნაშავე.


დავიწყე ოთახის დათვალიერება: არც ლუმენის ქვეშ, არც მის თავზე, არც კარადაში, არც მაგიდის ქვეშ—არავინ არ იყო.

ბოლოს საწოლის ქვეშ ვიპოვე ხარბევე თუნუქა, რომლიდანაც თოვლივით ქათქათა ნაკადული მოედინებოდა და იატაკზე დაღვრილ ტბას ნელა-ნელა უერთდებოდა.

უცებ ვგრძენი:—ვიღაც მიუტრებს; მივხვდი, რომ ვიღაც კი არა, თაიგული მიუტრებდა.

თაიგული—მზესუმზირები, მიხაკები, ღილილოები—მიცქერდნენ მრგვალი, მწვანე თვალებით.

სანამ რაიმეს მოვიფიქრებდი, უეცრად თაიგული შეირხა, ქოთანის ძირს დაენარცხა, რალც შავი არნახული ყვავილი გაიზმორა, კული მოიქნია და მაგიდიდან პირდაპირ ღია ფანჯარაში ისკუპა.



## ჰეი!

ამოვიდა მთვარე და მის შუქზე სარკესავით აბრქუვიოდა მდინარე სეთა. ფრინველების უვილ-ხივილი ისმოდა.

მთვარის შუქზე თვალი შევავლე მონადირეს, რომელიც ნელა მიდიოდა მდინარის ნაპირზე და ფეხებს ძლივს მიათრევდა სისველისაგან აფუებულ მიწაზე. მონადირეს ფარფლებიანი ქული ეხურა, ხელში კალათა ეჭირა. კალათიდან იხვის ჩუმი ყიყინი ისმოდა.

— ჰეი!—დავუძახე მეგობრულად. მონადირე შეცბა და დააყურადა.

— ჰეი!—ისევ დავუძახე—მიახლოვებულმა.

— ჰეი!—უკმაყოფილოდ გამომაჯავრა მონადირემ.

— რაო, სხვა სიტყვა აღარ არის რუსულ ენაში—ჰეი, ჰეის რომ გაიძახი?—ჩაიბურტყუნა უკმაყოფილოდ და შეჩერება არც უფიქრია, ისე ჩამიარა.



## ქუხილის ზეგლებ

უკანასკნელი ელვისაგან ხმალდაცემულივით გაიპო ღრუბელი, წვიმისაგან დანამულმა მზის სხივებმა იხუვლა დედამიწაზე, მინდვრიდან აფრენილი ტოროლა მათ ისეთი წყრიალა გალობით

მიეგება, რომ მის საპასუხოდ ცაზე შეიდგერა ცისარტყელამ გამოანათა.

თარგმნა ენდი წაჩათელავა

# ჩემი ძმა მიშა

იან აკიმი

ჩემს ძამიკოს ჰქვია მიშა,  
თქვენც იცნობდეთ—არა გიშავთ!

ძაღზე გაუგონარია,  
გაგვაწამა სახლში ყველა,  
მაგრამ ერთს კი გაგამტლავნებთ,—  
სხვებზე უფრო ჩემი სჯერა.

ჩემს ყოველგვარ ზნეს და ნიშანს  
ითავისებს ციკქნა მიშა.

ვბტივარ—ღაბტის გულმოდგინედ,  
ვბამ და—ისიც იღუპება,  
ქამის შემდეგ წამოვდგები,  
ისიც უცბად წამოვდგება.

მიშას მე ვერ ვაწყენინებ,  
რაც არ უნდა მაწყენინოს,  
მიყვარს მიშა, მინდა გული  
არაფერზე ვატკენინო.

თარგმნი **გელა შალვაშვილმა**



## აკყის ხის წვენი

მიხეილ პრიშვინი

ხანდახან, პატარაობისას, ისე ელოდები გაზაფხულის მოსვლას, რომ მოთმინებადაკარგული არყის ხეებს მიაღებები, გაუჭირი ქერქს და... მშრალია!

ღრო დადგება და, ისედაც, ქერქის გაუჭრელადაც, ყველაფერი ნათელი გახდება: ნაირ-ნაირი ყლორტები აფერადდება, კვირტი გაიშლება და არყის ხეებშიც დაიძვრება წვენი.

და რაღა საჭირო იქნება არყის ხეების დანით დახერვა და გაფუჭება?!

## პიკვედი ნაკადულები

უცებ მტრედების ლულუნ-გურგურისმაგვარი ხმა შემომესმა. მაშინვე ძაღლს მივვარდი,—მეგონა ტყის ქათმები მოფრინდნენ-მეთქი.

მაგრამ ძაღლი მშვიდად იყო.

გამოვბრუნდი, რომ აღიღებულნი მდინარის ცქერით დავმტკბარიყავი... და... ისევ შემომესმა ლულუნ-გურგური. ადგილზე ვავიჩინდე და დავაუტარადე: საიდანაც კვლავ საამოდ მოისმოდა ჩემი ლულუნისა და გურგურის გაბმული ხმა.

მივხვდი, თოვლქვეშ ნაკადული ხმაურობდა...

თარგმნი **თამარ ღვინიაშვილმა**



# სოფელი

ნელი ღარსაველიძე

აუუევიტ სოფლის აღმართს,  
სადა გზა-გზა ძღეროდა,  
ბებო იჯდა სახლის წღერბლთან  
ძოუთმენლად კველიდა.

რომ მიჰყვით, სინარულის  
ცრემლიც ბეჭრი დღვარა:  
— ვაი, თქვენ კი შუბოკველეთ,  
გამისარეთ ჭადარა.

ანუ რატომ დამივიწყეთ,  
სამ სედავთ, რომ ვბერდები...  
— რა ვქნათ, ბებო, უფრო სძირად  
არ გვაქვს არდადეგები!



## მკურნალი

ხის კაკუნში, კოდალაჟ,  
რატორ გამოწრთობილხარ,  
დღეს. გავიგო გუთაჟა,  
რა მკურნალიც უოფილხარ.

ბატი—ბუმბულს მახუქებს,  
მაფს—ობობა, ზაწია,  
ისეთ ხალათს შოგექსოვთ,  
ექიმებს რომ აცვიათ.

## ჩურჩხელები

დატრიალდა კუდა ნემსი,  
დაერია თსილს და კაკალს.—  
სულ წვილ-წვილი გრძელი აცმა  
გადაჭვიდეს მელაჟზე მაკას.  
თამუნიაც რიგში ჩადვა.  
ორ-ორ აცმას აწვიდის საჟელს,

აგერ ცხელ-ცხელ თათარაში  
აცმულ კაკალს ბებო აჟლებს.  
დაეკიდნენ ჩურჩხელები,  
როგორც ლერწმის ღეროები,  
წვერწათლილი ფანქრებივით  
წაწვერბათ ბოლოები.

# ყოჩაღები

სირა ჰიტიაშვილი

ვიდრე დედა მოვიდოდეს,  
ჯარასავით ვტრიალებთო,  
ბაღში მოვრწყუთ ყვავილები,  
სახლიც დავაკრიალებთო.

მივაღაგეთ ლოგინები,  
ასკინკილით ვიარეთო,  
ვაქაქანეთ მტვერსასრუტი,  
მგონი დავაზიანეთო.

ჩამოვრეცხეთ აბაზანა,  
წყალი ჩავაჩხრიალებთო,  
მამის თეთრი პერანგები  
ქარში გავაფრიალებთო.

ბოლოს კახაც ვაბანავეთ,  
მწარედ ავალრიალებთო,  
დედის ჯაფა, დედის შრომა  
ჩვენც ხომ გავიზიარეთო.



ნახატები მანანა მორჩილაძისა

## ციცქნა მაკა ტელევიზორთან

ელენე დიდიგამიშვილი

მაკამ ტელევიზორში  
დანიანა ბაბიდა;  
თვითონ ლექსს კითხულობდა,  
სხეები უსხდნენ მაგიდას.  
დედამ უთხრა:—ესენი  
პოეტები არიან.  
მაკას მხოლოდ ბაბიდა  
მოეწონა ძალიან.  
შეიცვალა სურათი,  
ჩამოეშვა შუქფარი.  
დედას შესთხოვს გოგონა:  
— ტელევიზორს უთხარი,  
ჩქარა, ჩქარა დედიკო,  
სხვა არავინ არ მინდა,—  
ერთი კიდევ მაჩვენოს  
ჩემი ელო ბაბიდა!





# ბექვას მისამართი

## მზია ხმთავარი

ქალაქის განაპირას ორი დიდი სახლი, ანუ კორპუსი იდგა. ერთ კორპუსს ფრქვა „ა“, მეორეს კი — „ბ“. „ა“ სახლში ბაბულური ცხოვერობდა, — ცელქი, მაგრამ კეთილი ბიჭი. „ბ“ კორპუსში — მხიარული გოგონა — თეკა.

ბაბულრი და თეკა ხშირად თამაშობდნენ ხოლმე თავიანთი კორპუსების წინ გაშლილ მინდორზე. ერთხელაც — სწორედ ამ მინდორზე მოხუცმა მწყემსმა ცხვრის ნოტო ჩამოატარა. ცხვარი აღბათ ბაზარში მიჰყავდა გასაყიდად. იმ ნოტოში ბატკანიც ვერია და ისინიც მხიარულად მიბაკუნობდნენ მინდორზე. ბაბულრმა და თეკამ დაინახეს თუ არა ცხვარი, ბურთის თამაშში მიატოვეს და ნოტოში გაერივნენ. ერთ ბატკანს ხელი მოჰხვიეს, მოფეფრნენ, მოვიდა მწყემსი და ის კიდევ მათ მოფეფრა. მერე ისე წავიდა საქმე, რომ ამ მწყემსმა ის ბატკანი ბაბულრს და თეკას აჩუქა.

— დედა და მამა გყავს? — ჰკითხა ბაბულრმა ბექვას, როცა მწყემსმა ცხვარი თავის გზაზე გაიჩვენა.

ბექვამ ნაღვლიანად გააქნია თავი.  
— საწყალი, არ ჰყოლია, — შეეცოდა თეკას, — წაიყვანოთ და ვაჰამოთ, შშიგრი იქნება.

— ჩვენს კორპუსში წაიყვანოთ, — თქვა ბაბულრმა.

— რატომ? — შეედავა თეკა, — ჩვენთან სჯობია.

— ბექვას ჩვენს კორპუსში ურჩევნია, — არ დათმო ბაბულრმა, — თუ გინდა თვითონ ბექვას ვკითხოთ, — ბიჭმა ბატკანს თავზე ხელი გადაუსვა და ჰკითხა: — სად გირჩევნია?

— ბეჭე!.. — დაიკიცნა ბექვამ.

— „ბე“ კორპუსისო! — ტაში შემოაჰკრა თეკამ.

— სულელლო, „ბე“ კი არა, „ა“, — შეუბღვირა ბექვას ბაბულრმა.

— ბეჭე! — ისევ დაიკიცნა ბექვამ.

— „ბეგეს“ მეტი არაფერი იცი? — გაბრაზდა ბაბულრი.

— დაანებე თავი, ბექვას უნდა ჩვენს კორპუსში იცხოვროს, — გამოეჭემა ბექვას თეკა, — თან თავისი მისამართიც ზუსტად ეცოდინება.

ბექვა მართლაც „ბ“ კორპუსის ბეჭეებმა დაისაკუთრეს. ბაბულრს ძალიან სწყინდა, მაგრამ რაკილა კეთილი ბიჭი იყო, მაინც ნახულობდა ბექვას. ბაბულრს უშიდავდა, ფეფრებოდა, თან ჩუმჩუმად ავარჯიშებდა, იქნებ, როგორმე „ბეს“ ნაცვლად „ა“ თქვასო, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა; ბექვა აი, აქამდე ჯიუტად იმფორებს თავის „ბეგეს“ და ბაბულრიც ნელ-ნელა ეჩვევა — უფრო ხშირად იაროს მეზობელ „ბე“ კორპუსში ჯიუტ ბექვასთან.



# ლობაზა ჩივი შემოჯდა

თელე ბაჰიზვილი

ლობეზე ჩიტი შემოჯდა,  
ხმატბიდად ჩაიჭოკჭოკა:  
— არ მეშინია სრულებით,  
შურდულიანი ბიჭისა.

მაინც არ გავერიდები  
ამ ღამაზე არემარესა—  
ცა-ფირუბ, ხმელეთ-ბურმუხტსა,  
ჩემსა სამშობლო მხარესა.



მარტის ქარი უბერავს,  
კვლები გაჰყავს თხუნელას,  
კუ მიათრევს ტომარას,  
არ გეგონოთ მცონარა.

## ბოსტანში

იმერი ხარაძე

თურმე ჩვენი ყურცქვიტა  
ამ ნანატრ დღეს უცდიდა,  
შრომას განა თაკილობს?  
მარდად თესავს სტაფილოს.



ნახატები სოფიო კინფურაშვილისა



## რვა მარტი

გიორგი ჯვამთელი

რვა მარტია,  
რვა მარტი!  
გავაკეთებთ აი, რას:  
გამოვიტანთ მე და გია  
ფანდურსა და დაირას,—  
დავუკრავთ და ვათამაშებთ  
ჩვენს პატარა დაიას,  
მერე ტყეში დავუკრეფავთ  
ბევრ ენძელას და იას.





## ყველა სიყვავა

ნოღარ ზამანამა

ყველა სიტყვა ძლიერ მიყვარს,  
თუ შიგ „დედა“ ჩართულია:  
დედამიწა, დედაბოძი...  
რა საამჟო ქართულია!  
დედაენა—დედის ნანა,  
დედის ძუძუ, დედის გული  
და სიცოცხლის დედაძარღვი  
დედააზრთან შერითმული.  
დედაქადაქს დედაქუჩა  
შეგნის კაღთასხივიანი,  
მაგრამ—დედა საქართველო  
ყველაფერზე ტკბილი არი.

ნახატი სოფიო კინწურაშვილისა



## ია გაუშანსთი

ლილა სტვილია

რა მცინარა,  
რა მტირალა,  
რა მწვიმარა მარტია,—  
გაუშლია ენძელა—  
ია, გაუბანტია.





# შენ და ხუთწლელი



## 60 დამკვრელური კვირა

### ზურაბ ბახტაძე

თემურის უფროსი ძმა კომკავშირელია. იგი ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში მუშაობს და ავტომანქანებს აწუხებს. თემური კი ოქტომბრელია, ქუთაისის 32-ე საშუალო სკოლის მეორე კლასში სწავლობს.

ამ სკოლაში ყველა ოქტომბრელმა ჩინებულად იცის, თუ რა არის 60 დამკვრელური კვირა. ოქტომბრელთა კლუბში ალისფერი ასოებით სწვრივ: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავამდე დარჩენილი 60 კვირა კომკავშირელებმა დამკვრელურ კვირებად გამოაცხადეს. პიონერებმა კომკავშირელები შეჯიბრებაში გამოიწვიეს. კომკავშირელებსა და პიონერებს ჩვენც ვუსწორებთ მხარს!

ძალზე კარგი, მისაბაძი საქმეა! ყოველი კვირის ბოლოს ოქტომბრელთა ვარსკვლავებში შეკრებაზე აღნიშნავენ, თუ ვინ არის ამ კვირაში სწავლასა და საზოგადოებრივ საქმეებში გამარჯვებული. მას ხუთწლედის მოწინავე ოქტომბრელის სახელს ანიჭებენ.

შენც შეგიძლია გახდე ხუთწლედის მოწინავე ოქტომბრელი!

კარგად რომ ისწავლო, დროის დაუასება უნდა შეგეძლოს.

ახლა გრძელი და მოკლე დღის შესახებ ვისაუბრებთ. ალბათ გავიკვირდებთ—როგორ შეიძლება დღე გრძელი ან მოკლე იყოსო, იგი ხომ ჩვეულებრივია, ყოველ დღე ყველასთვის ერთნაირი.

ღიას, თანაბარია საათების რაოდენობით, მაგრამ ზოგი ზეგრის დაკეთებას ასწრებს, ზოგი კი—ფრა!

უთუოდ მიხვდით, თუ რისი თქმა გვსურს—ვინც ზარმაცობს, დროს უქმად კარგავს, მისთვის დღე მოკლეა. ხოლო ვისაც ყოველი საქმისათვის დრო წინასწარ აქვს განაწილებული, მისთვის დღე გრძელია და ნაყოფიერი.

თუ ბეჯითი ხარ და მასწავლებელი გაქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ კარგად ასრულებ შენს მთავარ მოვალეობას, რაც ხუთწლედმა დაგისახა.



## სა რომ ჩამოზინდება!

### ნუნუ კერესელიძე



ცა რომ ჩამოზინდება, ნანას იტყვის მიწფერის ფედა; იავ, ნანა, ღვიავ, ნანა, ძიღი ნებისაო, იძინებენ ცისთვადები, გვირილებიცაო, დაიძინებს გულინაბაც—ღზინი ფეფისაო.

ჩუმად, ჩუმად, წყაროს წყაღო, ჩამომდინარეო, შენ მანანოვ ძიღისაო, ჩამოგვიარეო, წამწამები დაგვიმძიმე ჯაღოს წყირითაო, შროშანები დაგვიძინე ტკბიღი ძიღითაო.




## პანანინა „პერგმურკანი“

გიორგი ლათუაშვილი

ფრინველთა შორის ყველაზე უფრო საოცარი ჩიტია კოლიბრი. ეს ფრინველი მხოლოდ 2 გრამს იწონის, მისი სხეულის სიგრძე 4 სანტიმეტრს არ აღემატება, ნისკარტის სიგრძე 1 სანტიმეტრია. კოლიბრის ფრენის მაქსიმალური სიჩქარე 100 კილომეტრს უდრის. ამ პაწაწინა ჩიტუნას ფრთები წაშში 50-ჯერ ირხევა: ამიტომაც, რომ ვერტმფრენივით, კარგა ხანს შეუძლია ჰაერში ერთ ადგილას გაჩერება.

## „მანალი ხა“

ბრაზილიის ტყეებში იზრდება უცნაური ხე— სორვეიერა, რომელსაც საკმარისია დაუსეროთ ქერქი, რომ „ჭრილობიდან“ მაშინვე რძე გამოჟონავს. სორვეიერას წვენი შესახებ დავადაც და გემოთიც ძროხის რძის მაგვარია. თვითუფლი სორვეიერა ერთ მოწველაზე 4 ლიტრამდე რძეს იძლევა.




ყვეელთა დედოფალია, გეკოდინება, მჯერა.— შარადისათვის იკმარებს პირველი ორი ზეგრა. მერე ცისფერი საწევი არის საკირო ჭვენთვის, რომლის მეორე მარცვლი ბოლო ნაწილად ერთვის.— დალოკვილია ოლითვე მისი ფესვი და ძირი, გაზაფხულს გულში იხუტებს და სიხარულით ტირის.

შოთა ამირანაშვილი

შეაფსეთ ცარიელი უჯრედები საქართველოს ქალაქების სახელებით ისე, რომ ფერად სვეტში წაიკითხოთ ყველისათვის ძვირფასი ადამიანის სახელი.

შეადგინა ორჯონიკიძის რაიონის სოფ. კიცხის სა.შ. სკოლის მოსწავლემ კვაზო გამრეკელაშვილმა.

## თავსაცხები



## შაკი ზღვა

აკაკი ზუაძე

მზისფრად, ცისფრად მონანავე,—  
ჩემო შავო ზღვაო,  
ასე კარგი, თვალწარმტაცი,  
თქვი, ვინ დაგხატაო?

## კამრენია ნავაპვი?

დღეს სამი წლის შევსრულდი,  
ასე მოთხრა დედამ,  
სამი წელი, ზურგიკო,  
რამდენია ნეტავ?

## ტაკორენა

ნანა ღვინოშაძე

ცეროფენა ფეხს იგვამს,  
მიუშვიათ ნებასა,  
დაცემაზე იცინის,  
არ შესტირის დედასა.  
მერე, დედამ შენიშნა,  
რომ გოგონა-უნძელა,  
თავის თავს და ძამიკოს  
სარკის უკან ეძებდა.

## სიზმარა

ძიღისპირულს არ უსმენს,  
ტირვეულობს ნათია:  
— სიზმარს ვერ დავინახავ,  
შუქი თუ არ ანთია...

# გეგუსი

შეადგინა ქ. რუსთავეის სკოლის მოსწავლე  
შურაბ გათანაშვილმა.



“ ,



”



“



”







ხახტი ელუარდ ამგოკაძისა

შავიარა რელაქტორი მუხრან მახარაძისა

საბრუნველო კოლეგია: ანდრე ასულაშვილი, ელუარდ ამგოკაძე, კახარი გომეზაშვილი, ლილა პარაძე, მანუაშვილი მინდოშვილი, ჯიშვილი მუხრანი, ვიოლა რიხიანი (სამ. რელაქტორი), ირაკლი მინდოშვილი (პედაგ. მდიანი) რედაქტორი: ლილა მინდოშვილი, ვიოლა მინდოშვილი

საქ. კ. ცხ-ის გამომცემლობა  
Издательство ЦК КП Грузии  
საქ. კ. ცხ-ის გამომცემლობა  
Издательство ЦК КП Грузии

ტექნიკური ნაწილი

შავიარა რელაქტორი, სტამბის-თბილისი, ტექნიკური ნაწილი, 14 კვლ.: მან რელაქტორი-93-41-30, 93-98-15; პედაგ. მინდოშვილი-93-10-32, 93-98-17; სამ. რელაქტორი-83-98-18; განუფ.-93-98-19; მინდოშვილი-93-98-16. გადამცემი-17/111-76 წ. სელმურელია დისაბუდე 28/1-77 წ., ქილდის ზონა 80X90/12 დი. ნაბ. ფურც. 25, ტირაჟი 157.250. შტა. № 4187. „მთა“ № 3. ა გრუიშკომ რაკკე, ფხბი 20 კაბ.